

მერაბ კოკონაშვილი

მერაბ კოკონაშვილი – თვითმყოფადი, ნიჭიერი რეჟისორი, პოეტურობითა და ემოციურობით აღსავსე შემოქმედი, ერთ-ერთი გახმაურებული სახელი კინემატოგრაფიულ სამყაროში. დაიბადა თბილისში 1935 წ. 21 მარტს.

ბავშვობიდანვე დაუკავშირდა კინოსელოვნებას:

- 6 წლისა მიხეილ ჭიაურელია გადაიღო ფილმში “გიორგი სააკაძე” პატარა პატარას როლში.
- 33 წლისამ ითამაშა გიორგი დანელიას ფილმში “არ დაიდარდო” (1969 წ.) პორუნიკი იშხნელი.
- 1976 წ. კი ითამაშა ფილმში “მწვერვალი” (თემური).

1942-53 წწ. სწავლობდა თბილისის I საშუალო სკოლაში. 1961 წ. დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.

- 1959 წ. გადაიღო საკურსო ნამუშევარი “ხმელი წიფელი”, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ საკავშირო პრესაში.
- შემდეგ კი “კარდაკარ” (1960 წ.) დავით კლდიაშვილის “სოლომონ მორბელაძის” მიხედვით,
- “არდადეგებზე” (1963 წ.),
- “მისა” (1965 წ.) მიხეილ ჯავახიშვილის “მუსუსის” მიხედვით,
- “დიდი მწვანე ველი” (1967 წ.),
- “გზა მშვიდობისა, ჯაყო!” (1972 წ.) ნოდარ დუმბაძის “ნუ გეშინია დედას” მიხედვით,
- “მწვერვალი” (1976 წ.),
- “ცხელი ზაფხულის სამი დღე” (1981 წ.),
- სატელევიზიო ფილმი “გზა” (1986 წ.), რომელსაც უდიდესი აღმზრდელითი, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღირებულება აქვს და აქედანვე ისტორიულ-დოკუმენტური ფილმების ოქროს ფონდის კუთვნილებაა.
- დოკუმენტური ტელეფილმი “ფენომენი” (1992 წ.), “საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია” (1995 წ.) ებერტის ფონდს (გერმანია) დაკვეთით,
- “ნუცას სკოლა” (2000 წ.),
- სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი “დაგვიანებული კადიში” (2002 წ.),
- სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ვარიაცია ოტელოს თემაზე” (2003 წ.),
- “უსუი” (2005 წ.),
- “სახლი სიხარულისა” (2008 წ.).
- არის სცენარის ავტორი ფილმებისა: “ვარიაციები ოტელოს თემაზე”,
- “ნუცას სკოლა”,
- “მისა”,
- “ცხელი ზაფხულის სამი დღე”,
- “გზა მშვიდობისა, ჯაყო!”.

1979 წ. მიენიჭა საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა, ხოლო 1983 წ. საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. 1987 წ. კი გახდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

1960-76 წწ. მუშაობდა კინოსტუდია “ქართულ ფილმში”. 1976 წლიდან 2005 წლამდე იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი.

არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის ხელმძღვანელი.

1993 წლიდან ხელმძღვანელობს კინოს, ენისა და სტრუქტურული კვლევის ლაბორატორიას.

ფილმოგრაფია

გადაღებული აქვს:

1. “ხმელი წიფელი”, საკურსო ნამუშევარი (1959 წ.)
2. “კარდაკარ” (1960 წ.)
3. “არდადეგებზე” (1963 წ.)
4. “მისა” (1965 წ.)
5. “დიდი მწვანე ველი” (1967 წ.)
6. “გზა მშვიდობისა, ჯაყო!” (1972 წ.)
7. “მწვერვალი” (1976 წ.)
8. “ცხელი ზაფხულის სამი დღე” (1981 წ.)
9. “გზა” – დოკუმენტური ფილმი (1981 წ.)
10. “ფენომენი” – დოკუმენტური ფილმი (1992 წ.)
11. “საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია” – ებერტის ფონდის დაკვეთით (1995 წ.)
12. “ნუცას სკოლა” (2000 წ.)
13. “დაგვიანებული კადში” – დოკუმენტური ფილმი (2002 წ.)
14. “ვარიაცია ოტელოს თემაზე” (2003 წ.)
15. “უსუი” (2005 წ.)
16. “თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!” – დოკუმენტური ფილმი (2006 წ.)
17. “ქართველი მამლუქები ეგვიპტეში” – დოკუმენტური ფილმი (2007 წ.)
18. “სახლი სისარულისა” - დოკუმენტური ფილმი (2008 წ.)

სცენარის ავტორი:

1. “მისა”
2. “გზა მშვიდობისა, ჯაყო!”
3. “ცხელი ზაფხულის სამი დღე”
4. “ნუცას სკოლა”
5. “ვარიაცია ოტელოს თემაზე”

პროდიუსერი:

1. “უსუი”

როლები:

1. “გიორგი სააკაძე” (პაატა ბავშვობაში)
2. “არ დაიდარდო” (პორუჩიკი იშხნელი)
3. “მწვერვალი” (თემური)

წოდება, ჯილდო:

1. საქართველოს ხელოვნების მოღვაწის წოდება – 1979 წ.
2. საქართველოს სახალხო არტისტის წოდება – 1983 წ.
3. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი – 1987 წ.

სამსახურ. მოღვაწეობა:

1. 1960-76 წწ. კინოსტუდია “ქართული ფილმი”
2. 1976-2005 წწ. საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი.
4. 1993 წ. ხელმძღვანელობს კინოს, ენისა და სტრუქტურული კვლევის ლაბორატორიას.

მერაბ კოკონაშვილის პირადი საარქივო ფონდის კატალოგი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მერაბ კოკონაშვილის ანკეტა.

- 1965 წ. 21 იანვარი. ფორმა შევსებული ხელით. რუსულ ენაზე. 4 გვ.
2. მანდატი №0402 გაცემული დელეგატ მერაბ კოკონაშვილის სახელზე სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის დამფუძნებელ პირველ ყრილობაზე გადამწვევტი ხმის უფლებით.
- 1965 წ. 26 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
3. მერაბ კოკონაშვილის ავტობიოგრაფია.
- 1965 წ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
4. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის, მხატვრული კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს ოფიციალური წერილი კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. კუპრავას. აცნობებს, რომ განიხილეს მერაბ ელიოზიშვილის სცენარი „დიდი მწვანე ველი“ და რეჟისორ – მერაბ კოკონაშვილს აძლევენ გარკვეულ რეკომენდაციებს.
- 1966 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ასლი, დამოწმებული დედანთან (ხელმოწერა არ იკითხება). 2 გვ.
5. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობთა განყოფილების უფროსის (გვარი გაურკვეველია) წერილობითი თხოვნა მერაბ კოკონაშვილს და რეზო ჭარხალაშვილს მსახიობ ილია ბაკაკურის რამდენიმე დღით განთავისუფლებასთან დაკავშირებით. ნახსენებია ფილმი „ლონდრე“.
- 1966 წ. 6 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. 1 გვ.
6. მერაბ კოკონაშვილის წერილი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს თ. გორდელაძეს ფილმის გადამღები ჯგუფისთვის ღიმილით გათვალისწინებული ფირის შესახებ.
- 1966 წ. 5 ნოემბერი. ხელნაწერი. შავი. 2 გვ.
7. მერაბ კოკონაშვილის მოხსენებითი ბარათი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს თ. გორდელაძეს. სთხოვს, რომ გადაღებების განახლების უფლება მისცენ არა
- 1967 წ. 6 აპრილიდან, არამედ 3 მაისიდან.
- 1967 წ. 1 აპრილი. ნაბეჭდი. 1 ფ.
8. მერაბ კოკონაშვილის წერილი კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარეს შ. სალარიძეს. აკაკი ბაქრაძის სასცენარო განყოფილებიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით. საუბრობს აკაკი ბაქრაძის ღვაწლის შესახებ კინოსტუდიაში და გამოსატავს უარყოფით დამოკიდებულებას მისი განთავისუფლების გამო.
- 1968 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. შავი და ლურჯი მელანი. ფანქარი. ახლავს წერილის შავი ვარიანტები. 14 გვ.
9. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტისა და მხატვრული კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს შეტყობინება გორკის სახელობის ახალგაზრდული და საბავშვო ფილმების ცენტრალური კინოსტუდიის დირექტორ ვ. ბრიტიკოვს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს თ. გორდელაძეს. აცნობებენ, რომ რუსულ ენაზე დუბლირებული ქართული მხატვრული ფილმი „დიდი მწვანე ველი“ ვერ იქნება მიღებული მთავარი კომიტეტის მიერ, რადგან არ იქნა გათვალისწინებული მათი შენიშვნები. ითხოვენ სამონტაჟო შესწორებებს შეექვსე ნაწილის ბოლოს (სოსანა–პირიმზეს ეპიზოდი). ხელს აწერს მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ეგოროვი. ადევს თ. გორდელაძის რეზოლუცია მერაბ კოკონაშვილის სახელზე, სთხოვს ამ საკითხის სასწრაფო გადაჭრასა და ეგოროვთან დაკავშირებას.
- 1968 წ. 2, 11 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 ც.
10. მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის ა. რომანოვის ოფიციალური წერილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს შ. სალარიძეს. უარს ამბობს ფილმის გადამღები ჯგუფისათვის მატერიალური სანქციის შემცირებაზე.
- 1968 წ. 11 ივლისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ასლი, დამოწმებული დედანთან. 1 გვ.

11. ექსპერიმენტული შემოქმედებითი კინოსტუდიის სასცენარო-რედაქციული კოლეგიის წევრის ლ. გურგენიის ოფიციალური წერილი მერაბ კოკოჩაშვილს. უგზავნის განაცხადებსა და სცენარებს კომედიურ ჟანრში და იმედი აქვს, რომ მერაბ კოკოჩაშვილი რომელიმე დაინტერესდება. მსგავსი კონტაქტების დამყარებით კობახიძესთან, ე. შენგელაიასთან და თამაზ მელიავასთან მოხარული იქნება.

1968 წ. 22 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ლ. გურგენი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

12. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის შ. სალარიძის ოფიციალური მიმართვა მერაბ კოკოჩაშვილისადმი. სთხოვს მობრძანდეს საუკეთესო კინოსცენარებზე გამოცხადებული კონკურსის ჟიურის საორგანიზაციო სხდომაზე.

1969 წ. 4 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: შ. სალარიძე. 1 გვ.

13. მერაბ კოკოჩაშვილის მიერ შევსებული ცნობარი.

2004 წ. 25 დეკემბერი. დასტამბული. შევსებული ხელნაწერით. ერთვის ფოტო. 1 ც.

14. მერაბ კოკოჩაშვილის მიერ შევსებული ცნობარი.

უთარილო. დასტამბული რუსულ ენაზე. შევსებული ქართულ ენაზე. 1 ც.

15. მერაბ კოკოჩაშვილის ასენა-განმარტებითი ბარათი კინოსტუდიის დირექტორს თ. გორდელაძეს. ბარათში აღნიშნულია, რომ მას გასაცნობად გადაეცა სსრკ მხატვრული კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს დირექტორის ეგოროვის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი გამოთქვამს უკმაყოფილებას ფილმის რუსულ ვარიანტში მისი შესწორებების გაუთვალისწინებლობის გამო. პასუხად მერაბ კოკოჩაშვილი აღნიშნავს, რომ მსგავსი ჩასწორებები სერიოზული ჩარევაა რეჟისორის საქმიანობაში.

უთარილო. ხელნაწერი. წითელი და ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. შავი. 7 გვ.

16. სსრკ მხატვრული კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს დირექტორის ეგოროვის წერილისა და ამავე ორგანიზაციის მთავარი რედაქტორის კოკორევას წერილების ასლი, გადაწერილი მერაბ კოკოჩაშვილის მიერ. საუბარია ფილმ „დიდი მწვანე ველის“ შესახებ.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. კინოსურათ „დიდი მწვანე ველი“ გადამღები ჯგუფის მოხსენებითი ბარათი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს თ. გორდელაძეს. მოტანილია მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა ფილმისთვის განკუთვნილი ფირის ბოლომდე სათანადოდ დახარჯვა.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. შავი. 7 გვ.

18. მერაბ კოკოჩაშვილის მოხსენებითი ბარათი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს თ. გორდელაძეს. უხსნის არსებულ ვითარებას და ატყობინებს, რომ 31 აგვისტომდე ფილმის „დიდი მწვანე ველი“-ს ჩაბარება ვერ მოხერხდა. აქვეა შავი ვარიანტი სხვა ხელით ჩაწერილი.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 6 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა სცენარები

19. სცენარის ფინალი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

1966 წ. 16 მაისი. ავტოგრაფი. 8 გვ.

20. სარეჟისორო სცენარის რუსული ვარიანტი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“. ახლავს პატარა ფურცელი მერაბ კოკოჩაშვილის მინაწერით: „დიდი მწვანე ველი სარეჟისორო სცენარის რუსული ვარიანტი, რომელსაც ყოველთვის ვაბრუნებდით კინოკომიტეტში. ისე ფულს ვერ მივიღებდით ფილმისთვის“.

1966 წ. ხელნაწერი. ჩასწორებებით. აუკინძავი. შავი. 212 ფ.

21. სარეჟისორო სცენარი ფილმისთვის „არ იდარდო“. ახლავს მერაბ კოკოჩაშვილის სცენების ცხრილი. ფილმში მერაბ კოკოჩაშვილი ასრულებს პორუჩიკი იშხნელის როლს.

1968 წ. მოსკოვი. ხელნაწერი 1 გვ. დასტამბული. რუსულ ენაზე. 109 გვ.

22. სარეჟისორო სცენარი ფილმისთვის „ავთანდილ ჯაყელი“. სცენარის ავტორი ნოდარ დუმბაძე.

1971 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. 117 ფ.

23. ნოდარ დუმბაძის ლექსი „ჯუარი“ სცენარისთვის „ავთანდილ ჯაყელი“.

1972 წ. 3 მაისი. ხელნაწერი. 1 გვ.

24. ეპიზოდები კინოფილმ „დიდი მწვანე ველის“ სცენარიდან: „თავმჯდომარისა და ფერმის გამგის სცენა“, „მწყემსი და სოსანა“, „გეოლოგი და სოსანა“.

უთარილო. მერაბ ელიოზიშვილის ავტოგრაფი. ფანქარი, მელანი. 14 გვ.

25. სცენარის ცალკეული ნაწილები ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. მერაბ კოკოჩაშვილისა და მერაბ ელიოზიშვილის ავტოგრაფები. ფანქარი. მელანი. შავი. 8 გვ.

26. ეპიზოდები კინოფილმ „დიდი მწვანე ველის“ სცენარიდან: „თავმჯდომარე და ფერმის გამგე“, „თავმჯდომარის კაბინეტი“.

უთარილო. ხელნაწერი. ჩანახატებით. ფანქარი. 9 გვ.

27. რამდენიმე ეპიზოდი კინოფილმ „დიდი მწვანე ველის“ სცენარიდან.

უთარილო. მერაბ კოკოჩაშვილისა და მერაბ ელიოზიშვილის ავტოგრაფები. ფანქარი. მელანი. შავი. 18 ფ.

28. სარეჟისორო სცენარი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“. თავნაკლული.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. შავი. 17 გვ.

29. სარეჟისორო სცენარი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. წითელი და ლურჯი მელანი. 117 გვ.

30. მერაბ ელიოზიშვილის ლიტერატურული სცენარი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. ნაბეჭდი. 18 გვ.

31. მერაბ ელიოზიშვილის ლიტერატურული სცენარის ნაწილი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“: „თავმჯდომარე და სოსანა“, „გეოლოგები და პირილზე“, ფინალი.

უთარილო. ხელნაწერი. ჩანახატები. შავი. 11 გვ.

32. სცენარის ნაწილი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. ხელნაწერი. ჩანახატებით. ფანქარი. 2 გვ.

33. სცენარის რუსული ვარიანტის ფრაგმენტი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

34. მოსკოვის მთავარი სამმართველოს მოთხოვნების შემდეგ დაწერილი დამატებითი ეპიზოდი ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“: „თავმჯდომარე და ფერმის გამგე“.

უთარილო. ნაბეჭდი. 4 გვ.

35. მოსკოველი რედაქტორების შენიშვნებისა და მოთხოვნების შემდეგ დაწერილი ახალი სცენები, დამატებითი მასალები ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“: „თავმჯდომარის კაბინეტი“.

უთარილო. ნაბეჭდი. მერაბ კოკოჩაშვილის მინაწერით. 2 გვ.

ჩანაწერები

36. ჩანაწერები კინოსტუდიის პრობლემებთან, ასევე ფილმ „დიდი მწვანე ველის“ ზოგიერთ ეპიზოდთან დაკავშირებით.

1965 წ. ნოემბერი-დეკემბერი. ხელნაწერი. ბლოკნოტი. ფანქარი. ჩანახატებით. შავი. 18 ფ.

37. ჯავის რაიონ სოფელ ერწოში „დიდი მწვანე ველის“ გადასადგებად დარჩენილი კადრების, სცენებისა და ეპიზოდების ჩამონათვალი.

1966 წ. 15 ნოემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს: რეჟისორი - რ. ჭარხალაშვილი. 2 გვ.

38. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერები ფილმ „დიდი მწვანე ველის“ სხვადასხვა ეპიზოდთან დაკავშირებით.

1966 წ. ხელნაწერი. ჩანახატებით. ფანქარი. მელანი. 13 გვ.

39. ჩანაწერი უნივერსიტეტთან დაკავშირებული მომავალი ფილმის შესახებ.

1968 წ. მარტი. ხელნაწერი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

40. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერი ლია კაპანაძის (პირიმზის როლის შემსრულებელი) შესახებ.

1968 წ. 7 აპრილი. ხელნაწერი. შავი. 4 გვ.

41. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერი „ერთი ძველი მოხუცი რევოლუციონერის ამბავი“.

1968 წ. 1 მაისი. ავტოგრაფი. 2 გვ.

42. მერაბ კოკოჩაშვილის წერილი გაზეთ „თბილისში“ მის ფილმთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნების გამო. მეორე გვარდზე სხვა ხელით მიწერილია: „მერაბ! ნუ ელი კარგ რეცენზიებს! რეცენზიები ან არ იქნება, ან გაგლანძღავენ. 1968 წ. 28 მაისი“.
1968 წ. 9 ივლისი. ხელნაწერი. ფანქარი. 2 გვ.
43. მერაბ კოკოჩაშვილის სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები („უნივერსიტეტისათვის“, განზრახვა, გადაიღოს ახალი ფილმი, ზოგადი საკითხები ...)
1968 წ. აგვისტო. ავტოგრაფი. ბლოკნოტი. ფანქარი. მწვანე მელანი. 8 ფ.
44. „დაგვიანებული აღსარება“. მერაბ კოკოჩაშვილის წერილი მის პირველ მასწავლებელს ნინო ალადაშვილს. იხსენებს სკოლის პირველ კლასს და შემთხვევას, რომელიც მას და მის მეგობარს გადახდათ ტყუილის თქმის გამო.
1980 წ. ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 4 გვ.
45. მერაბ კოკოჩაშვილის წერილი ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო.
1984 წ. 18 სექტემბერი. ხელნაწერი. შავი. 5 გვ.
46. მერაბ კოკოჩაშვილის უბის წიგნაკი ტელეფონის ნომრებითა და სხვადასხვა ტიპის ჩანაწერებით.
უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. ფანქარი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 34 ფ. და 1 ფ. ცალკე.
47. ფილმის გადამღები ჯგუფის წევრების ჩამონათვალი. სხვადასხვა პირის ტელეფონების ნომრები.
უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. ფანქარი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.
48. ჩანიშვნები გაკეთებული ხელსახოცის ქაღალდზე.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.
49. ჩანაწერები თემაზე: „უნივერსიტეტი 40 წლის თავზე“.
უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. შავი. 28 გვ.
50. სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები („დიდი მწვანე ველის“ გადაღებები, მერაბ კოკოჩაშვილის სიზმარი, ლაგოდების ერთი სოფლის მოსახლეობის უცნაური თავისებურება ...)
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. შავი. 6 ფ.
51. ჩანაწერი ფანჯრიდან დანახული ტრაგიკული ფაქტის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. მწვანე და ლურჯი ფანქარი. შავი. 3 გვ.
52. ჩანაწერი „ერთი ბალზამიროვშიკის“ შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. შავი. 1 გვ.
53. ფილმ „დიდი მწვანე ველის“ ეპიზოდების ჩამონათვალი და თითოეული ეპიზოდისთვის განკუთვნილი ფირის სიგრძე.
უთარილო. ხელნაწერი. ჩანახატებით. ფანქარი. ლურჯი და შავი მელანი. რუსულ ენაზე. შავი. 2 ეგზ. 16 გვ.
54. სხვადასხვა ფრაგმენტი, ჩანახატები, ჩანაწერები, ჩანიშვნები ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელამი. შავი. 60 ფ.
55. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერი ფილმ „დიდი მწვანე ველის“ გადაღებებთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. წითელი და ლურჯი ფანქარი. შავი. 22 გვ.
56. ჩანაწერები ფილმისთვის „გზა მშვიდობისა, ჯაყო“.
უთარილო. ავტოგრაფი. შავი. 1 გვ.
57. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერები ფილმ „ავთანდილ ჯაყელის“ ზოგიერთი დეტალის გადაღებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. შავი. 1 გვ.
58. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერი ფილმ „ავთანდილ ჯაყელის“ სინჯებთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. შავი. 1 გვ.
59. ფილმ „დიდი მწვანე ველის“ გადამღები ჯგუფის სია.
უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. 2 გვ.

60. მუშაობის დროს გაკეთებული მსახიობების სავარაუდო სია და განაწილებული როლები ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“. მეორე გვარდზე არის სხვადასხვა ჩანახატები. პირი: გრ. წიტიანიშვილი, დ. აბაშიძე, მ. ელიოზიშვილი. კ. თოლორაია, ლ. ფილფანი, ლია გულაძე, ლია კაპანაძე, ლენა ყიფშიძე, ხ. იოსელიანი, ლ. ჭვავჭავაძე, მზია მადლაკელიძე, ი. ბოკუჩავა, ილია ბაკაკური, ტურაძე, გეგეშიძე, დავით ყუფარაძე, ტყაბლაძე, სესილია თაყაიშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თ. ცხვედიანი, ო. ჯანიაშვილი. ო. დათუაშვილი. ერ. ბილანიშვილი. ჯ. შანშიაშვილი. გ. ჯაჯანიძე. ი. ქოქრაშვილი, ხანგიზ არეშიძე, შალვა ჯნოაშვილი, თ. დაუშვილი, შ. სხირტლაძე, ლ. მიშველაძე, გ. გელოვანი, რეზო ხობუა, ნაგროზაშვილი.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 2 გვ.

61. მუშაობის დროს გაკეთებული ჩანაწერი: „ჯგუფის აღდგენა და ობიექტებისა და დეკორაციის მომზადება და აშენება“ ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. ხელნაწერი მეორად ფურცლებზე. ქართულ და რუსულ ენებზე. ფანქარი. ლურჯი და მწვანე მელანი. 5 გვ.

62. სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები.

უთარილო. ხელნაწერი. ჩანახატებით. მელანი. ფანქარი. 8 გვ.

63. მერაბ კოკოჩაშვილის ჩანაწერი მზიასადმი.

უთარილო. ხელნაწერი. ნეგატივი. 1 ც.

64. მერაბ კოკოჩაშვილის მოსახრებები რ. თიკანაძის მასალებზე წიგნისათვის.

უთარილო. ხელნაწერი. წითელი მელანი. რუსულ ენაზე. შავი. 6 ფ.

65. ჩანაწერები საშა რეხვიაშვილის მოსკოვში წასვლის, სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლის სურვილისა და ფილმის დატოვების გამო.

უთარილო. ხელნაწერი. მწვანე მელანი. შავი კალამი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

მერაბ კოკოჩაშვილის წერილები

66. მერაბ კოკოჩაშვილის წერილი ევა ჰოფმანს. მადლობას უხდის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში გამოგზავნილი რეცენზიისათვის, რომელშიც გაანალიზებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიით გასული ქართული ფილმები. მადლობას უხდის იმ უხარმაზარი შრომისათვის, რომელიც ევა ჰოფმანმა გაწია ქართული კონოს პოპულარიზაციისათვის. წუხს, რომ უახლოეს ხანში ვერ შეხვდება, რადგან მიემგზავრება პარიზში გადაღებებზე. უთვლის ყველას მოკითხვას და მადლობას ვინც კი წვლილი შეიტანა ქართული კინოს დღეების ჩატარებისათვის. ნახსენებია ერიკა და ულრის გრეგორები და სერგეი ალექსანდრეს ძე გამბაროვი.

1975 წ. 23 ივნისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

67. მერაბ კოკოჩაშვილის წერილი ივლიტა მესხიშვილს. წერს თავის აზრს რუსულ ფილმებზე, ცირკის მსახიობ დუროვსა და მოჭიდავე პროდუბნის შესახებ და ქართულ გინზბურგისეულ მიუზიკლ „ჩხიკვათა ქორწილზე“, რომელშიც ვრცლად არის გაშუქებული ლხინი და ხმა, მიუხედავად საკავშირო დადგენილებისა „ ალკოჰოლიზმისა და სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და ამათ ფონზე უარს ამბობს თავისი ფილმის ტოველგვარ შემცირებაზე, რომელიც არ ეწევა ღვინის სმის პროპაგანდას. (სავარაუდოდ ლაპარაკია დოკუმენტურ ფილმზე „გზა“) აღნიშნავს ამ ფილმის დადებით მხარეებს და თხოვს მისი დამოკიდებულება გააცნოს ნუგზარ ფოფხაძეს. მერილი მთავრდება მინაწერით, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ფილმს აღარ ემუქრება შემცირება, მაგრამ მისი პრემიერა გარკვეული ვადით მაინც გადადეს.

1985 წ. ივლისი. თბილისი. ავტოგრაფი. 3 გვ.

68. მერაბ კოკოჩაშვილის კერძო ხასიათის წერილი ხათუნა კოკოჩაშვილს (მერაბ კოკოჩაშვილის შვილი).

1985 წ. 22 სექტემბერი. ხელნაწერი. შავი. 2 გვ.

69. მერაბ კოკონაშვილის საპასუხო წერილი თამაზ მეღიავას მსახიობების ზურაბ ქაფიანიძისა და დოდო აბაშიძის რამოდენიმე დღით განთავისუფლებასთან დაკავშირებით. წერილს თან ახლავს თამაზ მეღიავას პასუხი.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 4 გვ.
70. მერაბ კოკონაშვილის წერილი გიას. ულოცავს სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას. რეკომენდაციას უწევს ნანა ჯორჯაძეს.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. შავი. 2 გვ.
71. მერაბ კოკონაშვილის წერილი საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გრიგოლ ტყაბლაძეს. ულოცავს დაბადებიდან 60, ხოლო შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წელს.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. შავი. 2 გვ.

წერილები მერაბ კოკონაშვილისადმი

72. სოფ. ირემაძეების მკვიდრის დავით ირემაძის წერილი მერაბ კოკონაშვილს (მიმართავს როგორც ავთანდილ ჯაყელს). სთხოვს კვლავ მობრძანდეს მასთან ირემაძეებში სტუმრად. 1972 წ. 8 აპრილი. ირემაძეები. ხელნაწერი. ახლავს კონვერტი მერაბ კოკონაშვილის მინაწერით. 1 გვ.
73. დავით ჯავახიშვილის წერილი მერაბ კოკონაშვილს. ბოდიშს უხდის, რომ უარს ეუბნება მის ფილმში მონაწილეობის მიღებაზე და რეკომენდაციას უწევს ახალგაზრდა კაცის კანდიდატურას. არ ეთანხმება ლალის აზრს, რომ მისი ასაკი პერსონაჟის ასაკს არ ემთხვევა. მაგალითებად მოჰყავს ჯუმბერისა და კუხოს მეგობრობა, დემურისა და ლადოს ურთიერთობა. პირი: რუსი პოეტი მიხეილ სეგტლოვი და რეჟისორები ნოდარ მანაგაძე და სიკო დოლიძე.
1975 წ. 5 აგვისტო. თბილისი. ხელნაწერი. 8 გვ. 1 კ.
74. არმენ მირაკიანის წერილი მერაბ კოკონაშვილს თბილისის კინოფესტივალის შესახებ. ნახსენებია: პეჟისორი ა. ბაუნი და დოკუმენტური ფილმი „Последний звонок“.
1987 წ. 11 მაისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
75. მერაბ კოკონაშვილის შვილიშვილის ელენე გოგლიძის(?) კერძო ხასიათის წერილი ბაბუს.
2006 წ. თებერვალი. ხელნაწერი. 1 ც.
76. ვახტანგ შველიძის საქმიანი წერილი მერაბ კოკონაშვილს (დაწერილი მისი გარდაცვალების წინა დღეს).
უთარილო. ხელნაწერი. მერაბ კოკონაშვილის მინაწერით. რუსულ ენაზე. 2 გვ.
77. ოთარ იოსელიანის წერილი მერაბ კოკონაშვილს. სთხოვს დოდო აბაშიძის გათავისუფლებას ორი დღით.
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
78. ოთარ იოსელიანის საქმიანი წერილი მერაბ კოკონაშვილს, გადაღებების განრიგის შესახებ.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
79. ჯუღის საქმიანი წერილი მერაბ კოკონაშვილს (სავარაუდოდ ეს უნდა იყოს მემონტაჟე ჯულიეტა-წოწონავას წერილი).
პირი: ალექსანდრე მანწკავა.
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
80. დოდო აბაშიძის კერძო ხასიათის წერილი მერაბ კოკონაშვილს.
უთარილო. ხელნაწერი. მწვანე მელანი. ახლავს ქსეროასლი. 1 გვ.
81. თამაზ მეღიავას წერილი მერაბ კოკონაშვილს. სთხოვს ზურაბ ქაფიანიძის განთავისუფლებას რამოდენიმე დღით.
უთარილო. ხელნაწერი. 3 გვ.
82. თ. გორდელაძის წერილი მერაბ კოკონაშვილს ფილმის ზოგიერთ ეპიზოდთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

პროგრამები

83. მხატვრული ფილმის – „კარდაკარ“ - პროგრამა.
1960 წ. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
84. სოფლის კინომექანიკოსის დასახმარებლად ნაჩვენები მხატვრული ფილმის - „დიდი მწვანე ველი“ - პროგრამა.
უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათები

85. მოსაწვევი ბილეთი №1154 მერაბ კოკონაშვილის სახელზე. სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი იწვევს კავშირის დამფუძნებელი პირველი ყრილობის გახსნაზე.
1965 წ. 23 ოქტომბერი. დასტამბული. შევსებული ხელნაწერით. 1 ც.
86. სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის მოსაწვევი ბარათი მერაბ კოკონაშვილს კავშირის დამფუძნებელ I ყრილობაზე (კრემლის დიდი სასახლის გეორგიევსკის დარბაზში).
1965 წ. 26 ოქტომბერი. დასტამბული. შევსებული ხელნაწერით. 1 ც.
87. ელგუჯა ამაშუკელის ხელმოწერილი მოსაწვევი ბარათი მერაბ კოკონაშვილს მეტეხის პლატოზე ვახტანგ გორგასლის ძეგლის გახსნაზე.
1967 წ. 30 აპრილი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. 1 ც.
88. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი იწვევს მერაბ კოკონაშვილს სპორტის სასახლეში ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე დასასწრებად.
1967 წ. 20 სექტემბერი. დასტამბული. 1 ც.
89. მხატვრული ფილმი „ნუკას სკოლას“ გადამღები ჯგუფისა და მერაბ კოკონაშვილის მოსაწვევი ბარათი ფილმის პრემიერაზე კონოთეატრ „რუსთაველში“.
2000 წ. 1 ოქტომბერი. თბილისი. დასტამბული. 2 ც.
90. მოსაწვევი მერაბ კოკონაშვილს ქართული კინოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე დასასწრებად.
უთარილო. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
91. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი იწვევს მერაბ კოკონაშვილს კინომუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე.
უთარილო. ბათუმი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
92. მოსაწვევი მხატვრული ფილმის – „არაჩვეულებრივი გამოფენა“ – გახსნაზე, განხილვაზე დასასწრებად.
უთარილო. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

მისალოცი ბარათები

93. გულნარა და ვახტანგ კოკონაშვილების მისალოცი ბარათი მერაბ კოკონაშვილს და მანანა მეძმარიაშვილს. ულოცავენ ახალ წელს.
1966 წ. 27 დეკემბერი. ქუთაისი-თბილისი. საფოსტო ბარათი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ტუში. 1 ც.
94. გოგი კოკონაშვილის მისალოცი ბარათი მერაბ კოკონაშვილის ოჯახს. ულოცავს ახალ წელს.
1966 წ. 28 დეკემბერი. ქუთაისი-თბილისი. საფოსტო ბარათი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. 1 ც.
95. ჟურნალ „Искусство кино“-ს რედაქციის მისალოცი ბარათი მერაბ კოკონაშვილს. ულოცავენ ახალ წელს.
უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.

სხვადასხვა

96. უცნობი პირის წერილი კინოსტუდია “ქართული ფილმის” დირექტორს, ასლი ჟურნალ “ნიანგს”. გამოსატავს მკვეთრად უარყოფით განწყობას ფილმის – “არდადეგებზე” - მიმართ.
- 1964 წ. 31 იანვარი. ყირიმი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
97. მხატვრული ფილმი “მისა”. კადრირება.
- 1964 წ. ხელნაწერი. მინაწერებით. დაზიანებული. ტუში. ფანქარი. მელანი. 5 გვ.
98. მერაბ კოკონაშვილის შვილის მაია კოკონაშვილის ნახატი.
- 1968 წ. მაისი. შავი ქაღალდი. ფერადი ფანქარი. 2 გვ.
99. მერაბ კოკონაშვილის შვილის მაია კოკონაშვილის ნახატები (დახატული ყავს მშობლები).
- 1968 წ. 13 ივნისი. მწვანე და შავი ფანქარი. 2 გვ.
100. მერაბ კოკონაშვილის შვილის მაია კოკონაშვილის ნახატები.
- 1968 წ. დეკემბერი. ფანქარი. 2 გვ.
101. ჯაყო. დიმა ერისთავის ჩანახატები ფილმისთვის „გზა მშვიდობისა, ჯაყო“.
- 1971 წ. ნოემბერი–დეკემბერი. ფანქარი. 2 გვ.
102. დიმა ერისთავის ჩანახატები ფილმისთვის „გზა მშვიდობისა, ჯაყო“ [1971 წ.] ასლი. 3 გვ.
103. მხატვარ სერგო ქობულაძის ჩანახატები მისივე მინაწერებით – „ჯვრის მონასტრის ოქროს კვეთის პრინციპი“.
- 1972 წ. 28 აპრილი. კალკა. პასტა. 1 გვ.
104. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოსა და გამგეობის სხდომის დღის წესრიგი.
- 1973 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. 22 გვ.
105. ირუი გრბაშის წერილი გაზეთ „რუდე პრავოში“ მერაბ კოკონაშვილის ფილმზე, მოთხრობილია ფილმის სიუჟეტი და აღნიშნულია, რომ ეს ფილმი არის რეჟისორის წარმატებული ნამუშევარი.
- 1975 წ. 16 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
106. აღპკლუბის ეპიზოდების კადრირება ფილმისთვის „მწვერვალი“.
- 1975 წ. ფანქარი. 3 გვ.
107. დოდო აბაშიძე. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 15,5X24. 1 გვ.
108. ლეკვი „ჯო“. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი. მინაწერით: ეს ლეკვი დოდო აბაშიძემ წაგვართვა. ლომივით დიდი გაიზარდა. „ჯო“ დაარქვა დოდომ“.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 14X21. 1 გვ.
109. მიტო დანგაძე. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი. მეორე გვერდზე არის ქალის პორტრეტი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 13X19. 2 გვ.
110. მიტო დანგაძე. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 13X19. 1 გვ.
111. მერაბ კოკონაშვილი. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 13X19. 1 გვ.
112. კოლიჩი. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 14,5X20,5. 1 გვ.
113. შალიკო ქირიკაშვილი. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 13X19. 1 გვ.
114. დათო ჩუბინიშვილი. ოთარ ვეფხვაძის ჩანახატი.
- 1975 წ. ქაღალდი. შავი ცხიმოვანი პასტელი. 13X19,5. 1 გვ.
115. ერლომ ახვლედიანის კარიკატურა – „ერლომი მოჯადოვებულ წრეში“. დავით ჯავახიშვილის ხუმრობა. მეორე გვერდზე არის ფილმ „ცხელი ზაფხულის სამი დღის“ სცენარის ნაწყვეტი.
- 1980 წ. თებერვალი. ხელნაწერი. 2 გვ.
116. ამონარიდები ფრანსუაზ ნაველის, მონიკ პორტალის, იზაბელ პასტორის წერილებიდან მერაბ კოკონაშვილის ფილმებზე: „დიდი მწვანე ველი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“;

„მიხა“, რომლებიც დაიბეჭდა ქართულ კინოსადმი მიძღვნილ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ასოციაციის № 4 ჟურნალში. ყველა ავტორი ვრცლად და დადებითად იხილავს ამ ფილმებს. ერთ გვერდზე ჩამოწერილია მერაბ კოკონაშვილის ფილმების არასრული სია. პირი: რ. ინაშვილი, ა. ფილიპაშვილი, მ. გეგეჭკორი, გ. გერსამია, დ. აბაშიძე, ლ. კაპანაძე, გ. მაღლაკელიძე, მ. დანგაძე, ზ. გუდავაძე, ჩუბინაშვილი.

1982 წ. ხელნაწერი. 5 გვ.

117. მერაბ კოკონაშვილის პორტრეტი. ლ. დოლობერიძის ჩანახატი.

1982 წ. მარტი. ფანქარი. 2 გვ.

118. მერაბ კოკონაშვილი. ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი.

1998 წ. თბილისი. ფანქარი. 1 გვ.

119. დავით გუჯაბიძე – „როგორ ვიღებდით „ნუცას სკოლას“ (დღიურები უკანა რიცხვით)“. მერაბ კოკონაშვილის ჩასწორებებით.

2000 წ. 16 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. შავი მელანი. 17 გვ.

120. დავით ჯავახიშვილის მიერ ჩახატული ერლომ ახვლედიანის კარიკატურა.

უთარილო. ფანქარი. 21X29,5. 1 გვ.

121. კოვტუნოვის დეპეშა მერაბ კოკონაშვილს. ატყობინებს, რომ მისი ფილმის - „დიდი მწვანე ველი“ - ორი ფირის ჩაშვება განზრახულია 31 მაისს.

უთარილო. მოსკოვი-თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

122. შარჟები, ჩანახატები ფილმისთვის „დიდი მწვანე ველი“.

უთარილო. მელანი. 2 გვ.

123. თ. მელითაურის წერილი ფილმ „ავთანდილ ჯაყელის“ გადაღებასთან დაკავშირებით. უთარილო. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. რუსულ ენაზე. შავი. 3 გვ. 1 კ.

124. დავით გუჯაბიძე – „საფესტივალო გაკვეთილი „ნუცას სკოლისათვის“ (იგულისხმება შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი 2000 წ. აგვისტოში.)

უთარილო. თბილისი. დავით გუჯაბიძის ხელმოწერით. ნაბეჭდი. 7 გვ.

125. ამონარიდი ანდრეი ტარკოვსკის მოსაზრებიდან, რომელიც 1969 წ. „Искусство кино“-ში არ დაიბეჭდა იმ მიზეზით, რომ არ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნას და დაიბეჭდა 1989 წ. „Дом кино“-ს პრეს-ბიულეტენში. ის თვლიდა, რომ იმ პერიოდში ნაციონალური კინოხელოვნება იმყოფებოდა საფრთხეში, მაგრამ მაინც არსებობდნენ გამონაკლისები საქართველოში მერაბ კოკონაშვილისა და ძმები შენგელაიების სახით.

უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.

126. სიმღერა „მრავალჟამიერის“ შესრულების სქემა.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

127. მაია კოკონაშვილის (მერაბ კოკონაშვილის შვილი) ლექსები. ახლავს მერაბ კოკონაშვილის მინაწერი: „მაიას ლექსები. თვითონ თქვა მე მოვიგონეო. 1967 წ. აპრილი. მაია მაშინ 5 წლის იყო“.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. შავი. 1 გვ.

128. აღექსანდრე გორბოვსკის სტატია „ხელკეტი ყველაზე ჭკვიანებისთვის“. ამონარიდი ჟურნალიდან.

უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 4 გვ.